

**ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ**

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის 60 დადგენილებით და განისაზღვრა 6478,5 ათ. ლ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი ცვლილების საფუძველი იყო 2019 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის განაწილება. მუნიციპალიტეტის 2019 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის განაწილება. მუნიციპალიტეტის 2019 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 3,254,084 ლ. საიდანაც 84351,55 ლარი ბანკში ანგარიშზე არსებული ნაშთია ხოლო 3,169,732 ლარი მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მეორე ცვლილების საფუძველი გახლდათ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის 331 განკარგულება( ეს გახლავთ 2018 წლის 31 დეკემბრის 2577 განკარგულებაში ცვლილება) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 620 000 ლარი, ასევე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ „ზოგიერთ მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის 2019 წლის 18 თებერვლის სახაზინო ანგარიშზე ჩაირიცხა თანხა 43744,18 ლარი და 2019 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული დარჩენილი გაუნაწილებელი ნაშთის 1435864,66 ლარის განაწილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 13126,7 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს 1671,9 ათ.ლარს ფაქტიურად შემოსულია 1326,4 ლარი, გეგმა შესრულდა 79,3%,მათ შორის შემოსავლების ჩავარდნა გამოწვეული არის დღგ შეუსრულებლობით. ქონების გადასახადის გეგმა იყო 4,0 ათ ლარი ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 69,4 გრანტის სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 100,0 % მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გეგმა შესრულდა 100 %.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 36,2 ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 25,6 ათ. ლარი გეგმა შესრულდა 70,7%.მათ შორის პროცენტები უნდა შემოსულიყო 2,5 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსული 0.ათ ლარი. პროცენტების შემოსავალი დაგეგმილი იყო ბანკში არსებული თანხის გამო რომელიც მუნიციპალიტეტის ანგარიშზე იდო, მაგრამ რადგან დღეის მდგომარეობით ბანკში არსებული თანხა განულებულია შესაბამისად შემოსავლებიც 0%-ით.

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმა შესრულდა 126,0% ჯარიმები, სანქციებით და საურავებით გეგმა იყო 25,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 2,6 ლარი ანუ გეგმა 10,4% .

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 1672,7 ათ. ლარით და ფაქტიურად დაფინანსდა 765,0 ათ. ლარით.

აღნიშნული გამოწვეული არის დაუმთავრებელი ობიექტების დაკონტრაქტებით, რაც მესამე წელია დიდ პრობლემას ქმნის მუნიციპალიტეტისათვის რაზეც დეტალურად არის საუბარი. 2018 წლის აუდიტის დასკვნაში რთული ვითარება გვაქვს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის კუთხითაც გეგმით გათვალისწინებული 649407 ლარი ნაცვლად დაიხარჯა 120583 18,6 % ეს იმ დროს როცა მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში ეს პრობლემა თვალსაჩინოა როგორც ცნობილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს წყლის დეფიციტი რომელიც სასწრაფოდ მოსაგვარებელია, დღეის მდგომარეობით არსებობს ოჯახები რომლებსაც საერთოდ არ მიეწოდებათ სასმელი წყალი.

გარე განათების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია დაფინანსდა 38,3 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 284,7 ათ. ლარით. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 3,1 ათ. ლარით, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია გეგმა იყო 3,2 ათ. ლარით, კომუნალური მომსახურება დაფინანსდა 118,5 ლარი. ინფრასტრუქტურაში კერძოდ აკლია გზებს და კეთილმოწყობის სამუშაოებს „გზები ეს არის წინა წელს „ორბიტის“ მიერ შეუსრულებელი სამუშაოები, რაც რთულად აისახა, როგორც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე ასევე მოსახლეობაზეც, ხოლო რაც შეეხება კეთილმოწყობაში დასახული გეგმის ჩავარდნას ეს კვლავ დაუმთავრებელი დაკონტრაქტებული ობიექტებია. (სპორტული კომპლექსი, მწვანე თეატრი, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 81,2 ათ. ლარით. ეს კვლავ სუბსიდიის თანამშრომლების გაზრდით გამოწვეული .საგანმანათლებლო ღონისძიების ხარჯები ათვისებულია 87,9%. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 348,8 ათ. ლარით. მათ შორის ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 94,3%, საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“ დაფინანსდა 89,0% , ფრენბურთის კლუბი ცაგერი 76, 8 %-ით, კულტურის ცენტრი 84,3%-ით მუზეუმი და გალერეა 81,8%, სამუსიკო სკოლა 97,5%-ით, სამხატვრო სკოლა 94,6%-ით, ბიბლიოთეკა დაფინანსდა 90,7%, კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (წმ. მაქსიმე აღმსარებლის სადღესასწაულო ღონისძიებები და ლადობა) დაფინანსდა 28,8 ათ. ლარით. ფაქტიურად ყველა ა(ა)იპ -ის 2019 წლის პირველი კვარტლის დაფინანსება ათვისებული აქვს 99,7%.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 87,7 % (გეგმა 124,4 ათ. ლარი ფაქტიურად 109,1 ათ ლარი).

მიუხედავად იმისა რომ 2018 წლის აუდიტის დასკვნაში მნიშვნელოვნად გამახვილებული არის ყურადღება მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე და მითითებული არის ის კონკრეტული დარგები სადაც ჩავარდნებია დღეის მდგომარეობით ამ კუთხით ცვლილებები არ მიმდინარეობს.

2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 12 თვის ხარჯების გათვალისწინებით, მათ შორის შრომის ანაზღაურებით. მაგრამ ბიუჯეტის პირველი კვარტლის ანალიზის დროს ამ ნაწილში გამოიკვეთა ხარვეზები.